სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080126507839422

№ 1262 12 / აპრილი / 2022 წ.

შპს „ლემასის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სასაზღვრო პოლიცია;

ტენდერის ნომერი: NAT210009201;

შესყიდვის ობიექტი: 18200000 – გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი;

მიმწოდებელი: შპს „ლემასი“ (ს/ნ: 204560705);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 11 და 21 თებერვალს წარმოდგენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2022 წლის 11 თებერვლის № MIA82200358698 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 1325) და 2022 წლის 21 თებერვლის № MIA52200447650 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №1555), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ლემასის“ (ს/ნ: 204560705) მიერ NAT210009201 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 12 ივლისის № 15/3-257 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის infolemasi@gmail.com მეშვეობით, 2022 წლის 25 თებერვლის №681 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2022 წლის 4, 10 და 16 მარტს მიმწოდებელმა სააგენტოში წარმოადგინა 2022 წლის 4, 10 და 16 მარტის № 40, № 44 და № 46 განმარტებები (რეგისტრაციის № 1848, № 1998 და № 2154) მის მიერ NAT210009201 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 12 ივლისის № 15/3-257 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 28 მარტს, სააგენტოს 2022 წლის 14 მარტის № 834 წერილის პასუხად, წარმოადგინა 2022 წლის 21 მარტის № MIA52200797788 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის №2498) მიმწოდებლის მიერ NAT210009201 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 12 ივლისის № 15/3-257 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, არ არსებობდა ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებები, მისი ყველა თანამშრომელი ინფორმირებული იყო ზომების ასაღებად მომწოდებელთან გამოცხადების თაობაზე და არსებული ინფორმაციით მიმწოდებელმა შემსყიდველი ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს აუღო ზომები, ასევე მიმწოდებელთან გადაიგზავნა შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომელთა ტელეფონის ნომრებიც. ამასთან, თანამშრომლების სიის ცვლილებამ არსებითი გავლენა არ იქონია ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე, ხოლო მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, გაიზარდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის წერილობითი განმარტებების თანახმად, სახეზე იყო ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებები, კერძოდ, ვალდებულებების შესრულებას ხელი შეუშალა კორონა ვირუსის გავრცელებამ და შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლების ზომების აღების მიზნით ადგილზე გამოუცხადებლობამ, რადგან მისაწოდებელი საქონლის ზომები განისაზღვრებოდა კონკრეტული ინდივიდისთვის, ვისაც უნდა ეტარებინა სააღლუმე უნიფორმა და საჭირო იყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირი გამოცხადებულიყო ადგილზე ზომების ასაღებად. ამასთან, ვალდებულებების შესრულებას ასევე უშლიდა ხელს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ თანამშრომელთა სიის პერიოდული ცვლილება. ამდენად, მიმწოდებელი ვალდებულებებს ასრულებდა ჯეროვნად, ხოლო მიმწოდებლის მოთხოვნა ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდასთან დაკავშირებით შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ დააკმაყოფილა. ამასთან, მიმწოდებელმა, გარემოებების სრულად გამოკვლევის მიზნით, მოითხოვა ზეპირი მოსმენის ჩატარება.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2021 წლის 12 ივლისს, NAT210009201 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – სასაზღვრო პოლიციამ და შპს „ლემასმა“ (ს/ნ: 204560705) გააფორმეს №15/3-257 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებულის საქონელი, ეტაპობრივად, მოთხოვნიდან 25 სამუშაო დღის ვადაში, 2021 წლის 10 დეკემბრამდე. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 34 760 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 იანვარი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული 2021 წლის 9 ნოემბრის № 1 ურთიერთშეთანხმების აქტით, ცვლილება შევიდა ხელშეკრულების დანართში.

4.3. მხარეთა შორის გაფორმებული 2021 წლის 13 დეკემბრის № 2 ურთიერთშეთანხმების აქტით, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 10 თებერვალი.

4.4. მიმწოდებლის 2021 წლის 17 დეკემბრის ელექტრონული შეტყობინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა მისი თანამშრომლების მიმწოდებელთან მისვლა ზომების ასაღებად.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 2 თებერვლის ელექტრონული შეტყობინებით, მიმწოდებელს ეთხოვა სიის რედაქტირება, კერძოდ, სიიდან გარკვეული პიროვნებების ამოღება და სხვებით ჩანაცვლება.

4.6. მიმწოდებლის 2022 წლის 9 თებერვლის № 27 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ საქონლის დასამზადებლად საჭირო ნედლეული საქართველოში არ იწარმოებოდა და მიმწოდებელი იძულებული იყო მასალები მოეძია საზღვარგარეთ. ამასთან, მსოფლიოში გავრცელებული COVID 19-ის პანდემიით გამოწვეულმა გაძნელებულმა ლოჯისტიკურმა მომსახურებამ და მომწოდებლებისგან საჭირო მასალების დაგვიანებით მოწოდებამ, ასევე კომპანიაში კორონა ვირუსის არაერთხელ გავრცელებამ მკვეთრად შეაფერხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნიფორმების შემსყიდველი ორგანიზაციისთვის დროულად მიწოდება. ვალდებულებების შეფერხება გამოიწვია იმანაც, რომ უნიფორმებისთვის კომპანიამ ზომები აიღო ინდივიდუალურად, დრო დასჭირდა თითოეული თანამშრომლისთვის უნიფორმის მოზომვის პროცესსაც, რომელიც ასევე გაჭიანურდა. ამავე წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით გაზრდა ვალდებულებების სრულად შესრულების მიზნით.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 10 თებერვლის №MIA02200353703 წერილით, ვალდებულებების არასრულად შესრულების გამო, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა.

4.8. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 23 091 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 66%).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ლემასს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაში დასახელებულ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, არ დგინდება მიზეზშედეგობრივი კავშირი ვალდებულებების არასრულად შესრულებასა და კორონა ვირუსის გავრცელებას შორის (მიმწოდებელს აღნიშნული მიზეზშედეგობრივი კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულები არ წარუდგენია არც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის და არც სააგენტოსთვის). გარდა ამისა, მიმწოდებლის განმარტების თანახმად, მას ვალდებულებების დროულ შესრულებაში ხელი შეუშალა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სიის რედაქტირებამ და შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომელთა გამოუცხადებლობამ. მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით სააგენტო მიუთითებს, რომ მიმწოდებელს თავის 2022 წლის 9 თებერვლის წერილში აღნიშნული გარემოებების თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაციისთვის არ უცნობებია, არამედ იმავე წერილის თანახმად, კორონა ვირუსთან დაკავშირებულ გარემოებებთან ერთად, ვალდებულებების შესრულება შეაფერხა იმ ფაქტმა, რომ უნიფორმებისთვის კომპანიამ ზომები აიღო ინდივიდუალურად, ხოლო ფორმების მოზომვის პროცესმა გამოიწვია დროის გაჭიანურება. სააგენტო მიუთითებს, რომ, ერთი მხრივ, მიმწოდებლისთვის სატენდერო წინადადების წარდგენამდე ცნობილი იყო, თუ რა ვალდებულებების შესრულება მოუწევდა მას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ხოლო მეორე მხრივ, გაუგებარია, თუ განმარტებაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები მართლაც არსებობდა, რატომ არ აცნობა აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას, მითუმეტეს, იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 13.3 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ამგვარად, სააგენტო ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის განმარტებაში მითითებულ გარემოებებს და მიიჩნევს, რომ არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. რაც შეეხება ზეპირი მოსმენის გამართვას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სააგენტო უფლებამოსილია, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს. შესაბამისად, ზეპირი მოსმენის ჩატარება განეკუთვნება სააგენტოს უფლებამოსილებას და გამოიყენება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ზეპირი მოსმენის ჩატარება.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ)მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შესრულდა არაჯეროვნად, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 66%. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ლემასის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ლემასს“ (ს/ნ: 204560705) 2022 წლის 13 აპრილს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი